

შპს „შარა“

ფინანსური ანგარიშგება

2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

სარჩევი

1

2

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობის ანგარიში ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და დამტკიცებაზე 2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ფინანსური ანგარიშგების მომზადებაზე, რომელიც სამართლიანად ასახავს შპს “შარა”-ს (შემდგომში „კომპანია“) ფინანსურ მდგომარეობას 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, მის მიერ წარმოებული ოპერაციების შედეგებს ამავე თარიღით დასრულებული წლისთვის, მცირე და საშუალო საწარმოების ფინანსური აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია:

- მართებული ბუღალტრული პრინციპების არჩევისა და მათ თანმიმდევრულ გამოყენებაზე;
- გონივრულ მსჯელობასა და შეფასებებზე;
- კომპანიის უნარის შეფასებაზე, განაგრძოს ფუნქციონირება როგორც მოქმედმა საწარმომ და მოახდინოს მსგავსი შეფასების წარდგენა მანამ, სანამ ხელმძღვანელობას არ გაუჩნდება სურვილი მოახდინოს კომპანიის ლიკვიდაცია ან შეწყვიტოს მუშაობა, ან არ ექნება სხვა რეალური ალტერნატივა, გარდა ზემოთ განსაზღვრული მოქმედებისა.

ხელმძღვანელობა აგრეთვე პასუხისმგებელია:

- კომპანიის ეფექტიანი შიდა კონტროლის სისტემის შემუშავებაზე, დანერგვისა და შენარჩუნებაზე;
- სავალდებულო ბუღალტრული ჩანაწერების წარმოებაზე საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად;
- კომპანიის აქტივების უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად საჭირო ქმედებების განხორციელებაზე;
- თაღლითობისა და სხვა დარღვევების აღმოჩენასა და თავიდან აცილებაზე.

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ხელმძღვანელობის მიერ დამტკიცდა გამოსაშვებად 2025 წლის 26 სექტემბერს.

განმარტებითი შენიშვნები

1. ზოგადი ინფორმაცია

შპს „შარა“ საიდენტიფიკაციო ნომრით 218022066 დარეგისტრირდა საქართველოში, სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო, 2002 წლის 12 აპრილს.

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ორგანიზაციის დამფუძნებელ პარტნიორთა შორის წილები გადანაწილებულია შემდეგნაირად :

- შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „შარა“-ს“ დამფუძნებლები:
- ამირან მშვენიერაძე 34%.
- თამარ კოდალაძე 33%.
- ოფელია მაკრახიძე 33%

კომპანიის დამფუძნებლები ჩართულნი არიან კომპანიის მართვაში.

კომპანიის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს: სხვა სპეციალიზებული სამშენებლო სამუშაოები, სხვა დაჯგუფებებში ჩაურთველი, ხიდების და გვირაბების მშენებლობა, ღორღიანი და ქვიშიანი კარიერების დამუშავება.

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ორგანიზაციაში დასაქმებულთა რაოდენობა შეადგენს დაახლოებით -52 კაცი (2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით - 65 კაცი).

კომპანიის დირექტორია ამირან მშენიერაძე (პ/ნ 59001021291).

კომპანიის იურიდიული მისამართია: ქ. გორი, ყიფიანის ქ. N 18/24

2. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა

ანგარიშგების მომზადების საფუძველი

შპს „შარა“-ს ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების (მსს ფასს) და ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგების და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის მოთხოვნის შესაბამისად.

მცირე და საშუალო საწარმოების ფინანსური აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების მოთხოვნების თანახმად, ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად საჭიროა სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენება.

კომპანიის მიერ გამოყენებული სააღრიცხვო პრინციპები და პოლიტიკა წარმოდგენილია ქვემოთ.

აღნიშნული ანგარიშგება 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადდა „მსს ფასს“-ის სტანდარტების შესაბამისად. ფინანსური ანგარიშგება მოიცავს მოგება-ზარალის და სხვა სრული შემოსავლის, ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებას და განმარტებით შენიშვნებს.

უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ოპერაციები

კომპანიის ფუნქციონალური ვალუტა არის ქართული ლარი. უცხოურ ვალუტაში გამოხატული ფულადი აქტივები და ვალდებულებები გადაყვანილია კომპანიის ფუნქციონალურ ვალუტაში საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ოფიციალური გაცვლითი კურსის

მიხედვით, ანგარიშგების თარიღის მომენტისთვის. უცხოურ ვალუტაში გამოსახული შედეგები აღირიცხება ოპერაციის განხორციელების დღეს არსებული გაცვლის კურსის შესაბამისად. კურსთაშორის სხვაობის შედეგად მიღებული მოგება ან ზარალი აღიარდება მოგება-ზარალში.

საქართველოს ეროვნული ბანკის
ოფიციალური გაცვლითი კურსი

	დოლ.	ევრო
გაცვლითი კურსი 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	2.6894	2.9753
გაცვლითი კურსი 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	2.8068	2.9306

ფული და ფულის ექვივალენტები

ფული და ფულის ექვივალენტები მოიცავს ნაღდ ფულს და საბანკო ნაშთებს.

სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები

საქონლის კრედიტით გაყიდვის შემთხვევაში გადახდის ვადა და პირობები დგინდება ხელშეკრულებით კლიენტთან შეთანხმების საფუძველზე, ვადაგადაცილების შემთხვევაში კომპანია მიმართავს კლიენტს გაფრთხილებით რამდენჯერმე ,რისი უგულებელყოფის შემდგომ კომპანია უფლებას იტოვებს იმოქმედოს საქრთველოში მოქმედი კანონის შესაბამისად

სასაქონლო მატერიალური მარაგები

სასაქონლო მატერიალური მარაგების შეფასება ხორციელდება თვითღირებულებასა და მის წმინდა სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით. სასაქონლო მატერიალური ფასეულობების ხარჯის დასადგენად გამოიყენება - საშუალო შეწონილი ფასის მეთოდი, სასაქონლო მატერიალური მარაგების თვითღირებულება მოიცავს დანახარჯებს რომლებიც დაკავშირებულია აქტივის შეძენასთან და ტრანსპორტირებასთან.

ძირითადი საშუალებები

თავდაპირველი აღიარების დროს, ძირითადი საშუალებები აღირიცხება თვითღირებულებით, რაც მოიცავს შესყიდვის ფასს და ნებისმიერ ხარჯს, რომელიც პირდაპირ დაკავშირებულია აქტივის დანიშნულების ადგილამდე მიტანას და სამუშაო მდგომარეობაში მოყვანასთან, იურიდიული და საბროკერო მომსახურების ღირებულებას, შესაბამისი პროფესიონალების მომსახურების ხარჯებს.

საწყისი აღიარების შემდგომ, ძირითადი საშუალებების აღრიცხვა უნდა განხორციელდეს თვითღირებულებიდან დარიცხული ცვეთის გამოკლებით.

ცვეთის გამოთვლა წარმოებს იმგვარად, რომ განხორციელდეს აქტივის თვითღირებულების ჩამოწერა გამოთვლილი ნარჩენი ღირებულების გამოკლებით, მისი სასარგებლო მომსახურეობის ვადის განმავლობაში, შემდეგნაირად:

შენობები	20 წელი
ნაგებობები	10 წელი
მანქანა-დანადგარები	7-10 წელი
სასოფლო-სამეურნეოტექნიკადასხვასაშუალებები	5-10 წელი
ოფისისაღჭურვილობა	3-10 წელი
ავეჯიდასხვაინვენტარი	2-10 წელი
სატრანსპორტოსაშუალებები	3-10 წელი
სხვაძირითადისაშუალებები	10 წელი

თითოეული საანგარიშო პერიოდის ბოლოს ხდება სასარგებლო მომსახურეობის ვადის, ნარჩენი ღირებულების და ცვეთის მეთოდების გადახედვა და კორექტირება, აუცილებლობის შემთხვევაში.

ძირითადი საშუალების ბალანსიდან მოხსნა ხდება, როდესაც აღარ არის მოსალოდნელი მომავალი ეკონომიკური სარგებლის მიღება. ოპერაციის შედეგად წარმოქმნილი მოგება ან ზარალი განისაზღვრება გასაყიდ ფასსა და საბალანსო ღირებულებას შორის სხვაობით და აღიარდება მოგება-ზარალზე.

არამატერიალური აქტივები

არამატერიალური აქტივები თავდაპირველი აღიარებისას ფასდება თვითღირებულებით, რაც მოიცავს მისი შესყიდვის ფასს, მათ შორის საიმპორტო ბაჟს და უკან დაუბრუნებად გადასახადებს, აქტივის დანიშნულებისამებრ გამოსაყენებლად სამუშაო მდგომარეობაში მოსაყვანად საჭირო ნებისმიერ სხვა პირდაპირ ხარჯს.

არამატერიალური აქტივების აღიარება წყდება მისი გასხვისების დროს ან იმ შემთხვევაში, როდესაც აღარ არის მოსალოდნელი მისი გამოყენებით ეკონომიკური სარგებლის მიღება. სხვაობა გასხვისების შედეგად მიღებულ შემოსავლებსა და აქტივის საბალანსო ღირებულებას შორის აღიარდება იმ წლის მოგება-ზარალის ანგარიშებაში, როდესაც შეწყდა აქტივის აღიარება.

განსაზღვრული სასარგებლო ვადის მქონე არამატერიალური აქტივების ამორტიზაცია წარმოებს იმგვარად, რომ განხორციელდეს აქტივის თვითღირებულების ჩამოწერა

გამოთვლილი ნარჩენი ღირებულების გამოკლებით მისი სასარგებლო მომსახურების ვადის 10-წლიანი ვადის განმავლობაში წრფივი მეთოდით.

სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები

სავაჭრო ვალდებულებები მოიცავს ვალდებულებებს, რომლებიც წარმოიქმნა ხარჯის გაწევის შედეგად რომლის გადახდა არ მომხდარა პერიოდის განმავლობაში. კრედიტორული დავალიანების საბალანსო ღირებულება შეესაბამება მათ სამართლიან ღირებულებას ანგარიშგების თარიღისთვის.

მიღებული სესხები

სესხის სარგებლობასთან დაკავშირებული ყველა დანახარჯი აღიარდება მოგება-ზარალში, იმ პერიოდში, როდესაც გაწეულ იქნა აღნიშნული დანახარჯი.

მოგების გადასახადი

საწარმო მოგების გადასახადით იბეგრება ე.წ. „ესტონური მოდელით“. დასაბეგრ ბაზას წარმოადგენს არა მოგების გადასახადი, არამედ გაცემული დივიდენდები და მასთან გათანაბრებული განაცემები, აგრეთვე გადახდები და განაცემები, რომლებიც საგადასახადო კოდექსით არ მიეკუთვნება ეკონომიკურ საქმიანობას.

კაპიტალი

კაპიტალი განისაზღვრება კომპანიის დამფუძნებლების გადაწყვეტილებით, რომელიც აღიარდება სამართლიანი ღირებულებით შეტანის მომენტისთვის.

დივიდენდების განაწილება

დივიდენდი ვალდებულებად აღიარდება იმ პერიოდში, როდესაც დამტკიცდება მათი განაწილება.

შემოსავლებისა და ხარჯების აღიარება

შემოსავლებისა და ხარჯების აღიარება ხდება დარიცხვის მეთოდით. შემოსავალი საქონლის რეალიზაციიდან შეიძლება აღიარდეს მაშინ, როდესაც: კომპანიამ მიაწოდა მყიდველს საქონელი და მფლობელობასთან დაკავშირებული მნიშვნელოვანი რისკები და სარგებელი

მყიდველზე გადავიდა, კომპანიას აღარ აქვს რეალიზებულ საქონელზე არანაირი მმართველობითი უფლება.

კომპანია შემოსავალს მომსახურების გაწევიდან აღიარებს მაშინ, როდესაც მისი შეფასება საიმედოდაა შესაძლებელი და მოსალოდნელია მომავალი ეკონომიკური სარგებლის მიღება.

საპროცენტო შემოსავლები და ხარჯები აისახება ყველა სავალდებულო ინსტრუმენტთან მიმართებით დარიცხვის საფუძველზე.

სააღრიცხვო პოლიტიკა, რომელსაც კომპანია იყენებს მსს ფასს-ზე გადასვლის შემდეგ, არსებითად არ განსხვავდება იმ სააღრიცხვო პოლიტიკისაგან, რომელიც გამოიყენებოდა წინა საანგარიშგებო პერიოდებში.

3. ფული და ფულის ექვივალენტები

31 დეკ.2024

31 დეკ.2023

ფული ბანკში ეროვნულ ვალუტაში	205561	14 038
ფული ბანკში უცხოურ ვალუტაში		
ნაღდი ფული სალაროში ეროვნულ ვალუტაში	90 403	98 980
ჯამი	295 964	113 018

ფული და ფულის ექვივალენტების საბალანსო ღირებულება შეესაბამება მათ სამართლიან ღირებულებას ანგარიშგების თარიღისათვის.

4. მარაგები

	შეძენა 2024	შეძენა 2023
სასაქონლო-მატერიალური მარაგები	2 021 619	2 744 603
ჯამი	2 021 619	2 744 603

5.სავაჭრო მოთხოვნები

	31 დეკ. 2024	31 დეკ. 2023
სავაჭრო მოთხოვნები	3 097 295	3 465 027
ჯამი	3 097 295	3 465 027

დებიტორული დავალიანებების საბალანსო ღირებულება შეესაბამება მათ სამართლიან ღირებულებას ანგარიშგების თარიღისათვის.

სავაჭრო მოთხოვნები მოიცავს გამომუშავებულ მიუღებელ შემოსავალთან დაკავშირებულ სავაჭრო მოთხოვნებს, რომელთა გამომუშავება მოხდა ,როგორც საანგარიშგებო პერიოდის, ასევე წინა პერიოდების განმავლობაში.

6. გადახდილი ავანსები და დარიცხული მისაღები შემოსავალი

	31 დეკ. 2024	31 დეკ. 2023
ავანსები გადახდილი მომწოდებლებზე	7 230	7 230
სხვა მოთხოვნები	8 325	8 325
ჯამი	15 555	15 555

6. ძირითადი საშუალებები

	მიწა	შენობები	დაუმთავრებელი შენობები	მანქანა- დანადგარები	ოფისისა და სამსახურის უზენაესობა	ავიაციის აპარატები	სატრანსპორტ ოსაშუალებები	სხვა ძირითადი დისპოზიციები	სულ
საბალანსო ღირებულება									
2023 წლის 31 დეკემბერი	29307	28860	75452	469910	9358	3321	571763		1187971
შეძენა				51590	1058	2555	17899		73102
გაყიდვა	29307						12971		42278
ჩამოწერა									
ცვეთა		1443		40639	1636	629	79391		123738
წმინდა საბალანსო ღირებულება									
2024 წლის 31 დეკემბერი	0	27417	75452	480861	8780	5247	497300		1095057

7. არამატერიალური აქტივები

საბალანსო ღირებულება

საბუღალტრო პროგრამები ბუნებრივი რესურსების ლიცენზიები

2023 წლის 31 დეკემბერი

1521

შეძენა

0

გაყიდვა

0

ჩამოწერა	0
ცვეთა და ამორტიზაცია	109

2024 წლის 31 დეკემბერი	1412
წმინდა საბალანსო ღირებულება	
2023 წლის 31 დეკემბერი	1 521
2024 წლის 31 დეკემბერი	1 412

კომპანია ფლობს შემდეგ საბუღალტრო პროგრამებს: “Oris Accounting”.

8, კაპიტალი

კომპანიის მფლობელებს შორის კაპიტალი გადანაწილებულია შემდეგნაირად:

- ამირან მშვენიერაძე - 34%
- თამარ კოდალაძე - 33 %
- ოფელია მაკრახიძე - 33%

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მფლობელთა კაპიტალი შეადგენს 2100 ლარს (2022: 2100);

კომპანიის დამფუძნებელთა მიერ კაპიტალში პირველადი შეტანა განხორციელდა 2002 წლის 12 აპრილს. კაპიტალში შეტანილ იქნა 2100,00 ლარი.

***-9. მოგების გადასახადი**

მოგების გადასახადით დაბეგრულია გადახდები, რომლებიც საგადასახადო კოდექსით არ მიეკუთვნება ეკონომიკურ საქმიანობას.

10. იჯარის ხარჯი

	31 დეკ. 2024
ავტომანქანის იჯარა	58 812
მიწის იჯარა	10 000
ჯამი	68 812

12. მიღებული სესხები

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

მოკლევადიანი სესხები	დაწყების თარიღი	დასრულების თარიღი	საპროცენტო განაკვეთი	ძირის გადახდის პერიოდულობა	პროცენტის გადახდის პერიოდულობა	ვალუტა	თანხა ლარში	მიზნობრიობა
ხელშეკრულება2024-02-20/0071/CLN/144892/246	20.02.2024	20.02.2025	14%	განაღების თარიღში	განაღების თარიღში	ლარი	200 000	საბრუნავისაშუალებები
სულმოკლევადიანისესხები							0	
გრძელვადიანისესხები	დაწყების თარიღი	დასრულების თარიღი	საპროცენტო განაკვეთი	ძირისგადახდი ს პერიოდულობა	პროცენტისგადახდი სპერიოდულობა	ვალუტა	თანხა ლარში	
სულგრძელვადიანისესხები								

ბიზნეს გარემოსა და რისკების მიმოხილვა

კომპანიის წინაშე არსებული მნიშვნელოვან რისკებს მიეკუთვნება ეროვნული ვალუტის რყევებით გამოწვეული სავალუტო რისკები, მითუმეტეს, როდესაც სესხები აღებულია უცხოურ ვალუტაში და მარაგების უდიდესი ნაწილი არის იმპორტირებული და მომწოდებლებთან ანგარიშსწორება გვიწევს უცხოურ ვალუტაში. აღნიშნული რისკის შესამცირებლად საქონლის კრედიტში გაყიდვის შემთხვევაში კლიენტებთან ხელშეკრულება უმეტესად იდება ვალუტაში და შესაბამისად ანგარიშსწორება ხდება ვალუტის შესაბამისი ექვივალენტით ლარში.

ასევე მნიშვნელოვანი რისკია დებიტორული დავალიანების ამოუღებლობის რისკი. აღნიშნული რისკის შესამცირებლად მუდმივად მიმდინარეობს მონიტორინგი და პრევენცია სხვადასხვა საშუალებებით.

კომპანიას საქმიანობა უწევს საკმაოდ მაღალი კონკურენციის პირობებში, შესაბამისად არსებობს საბაზრო რისკიც. აღნიშნულის პრევენციისთვის კომპანია მუდმივად ზრუნავს შეინარჩუნოს მაღალი ხარისხი და იყოს ორიენტირებული მომხმარებლის კმაყოფილებაზე.

დადებითი გარემო ფაქტორები

საქართველოს სოფლის მეურნეობის განვითარების ხელშეწყობის მიზნით სოფლის მეურნეობის პროექტების მართვის სააგენტო ახორციელებს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიერ ინიცირებულ პროექტებს: დანერგე მომავალი, აგროწარმოების ხელშეწყობის პროგრამა, შეღავათიანი აგროკრედიტი, აგროდაზღვევა, აწარმოე საქართველოში და სხვა (პროექტების სრულად ნახვა შესაძლებელია მისამართზე <http://apma.ge>). აღნიშნული პროექტები ხელს უწყობს სოფლის მეურნეობის განვითარებას სხვადასხვა მიმართულებებით, რომელიც დადებითად აისახება ამ სფეროში ბაზრის ზრდაზე.

ფინანსური მდგომარეობა

ფინანსური მდგომარეობა	31/12/2024	31/12/2023	31/12/2022
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	295964	113018	730390
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	3097295	3465027	3378815
სხვა პირებზე ავანსებად და სესხებად გაცემული ფულადი სახსრები	15555	15555	29105
მარაგები	67000	123000	87000
მზა პროდუქცია		0	0
სხვა	67000	123000	87000
საინვესტიციო ქონება		0	0
სხვა მოკლევადიანი აქტივები		0	0
ბიოლოგიური აქტივები		0	0
თვითღირებულების მოდელით		0	0
გადაფასების მოდელით		0	0
გუდვილი		0	0
სხვა არამატერიალური აქტივები	1412	1521	10183
ძირითადი საშუალებები	1095057	1187971	1296808
ინვესტიციები შვილობილ კომპანიებში		0	0
ინვესტიციები სხვა საწარმოთა წილობრივ ინსტრუმენტებში		0	0
სხვა გრძელვადიანი აქტივები		0	0
სულ აქტივები	4572283	4906092	5532301
ვალდებულებები			
საიჯარო ვალდებულება		0	0
სავაჭრო ვალდებულებები	3567657	3533702	3543628
ანარიცხები		0	0
ვალდებულებები თანამშრომელთა მიმართ	96420	73652	95305
საგადასახადო ვალდებულებები	42117	15463	13936
გამომუშავებული შემოსავალი		0	0
მოკლევადიანი ნასესხები სახსრები	200000	0	200000
გრძელვადიანი ნასესხები სახსრები		0	0
მიღებული გრანტები		0	0
სხვა ვალდებულებები	82723	89063	113063
სულ ვალდებულებები	3988917	3711880	3965932
საკუთარი კაპიტალი			
სააქციო კაპიტალი (შპს-ს შემთხვევაში 'კაპიტალი', კოოპერატივის შემთხვევაში 'საპაიო კაპიტალი')	2100	2100	2100
საემისიო შემოსავალი		0	0
გამოსყიდული საკუთარი აქციები		0	0
გაუნაწილებელი მოგება / (დაგროვილი ზარალი)	581266	1192112	1564269
გადაფასების რეზერვი		0	0
საკუთარი კაპიტალის სხვა კომპონენტები		0	0
სულ საკუთარი კაპიტალი	583366	1194212	1566369
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები	4572283	4906092	5532301
სულ მოკლევადიანი აქტივები	3475814	3716600	4225310
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები		0	0

საქმიანობის შედეგები

საქმიანობის შედეგები	31/12/2024	31/12/2023
ნეტო ამონაგები	2793672	3961568
საქონლის გაყიდვიდან		0
მომსახურების გაწევიდან		0
სამშენებლო ხელშეკრულებებიდან		0
სხვა	2793672	3961568
გაყიდვების თვითღირებულება	-2073243	-2648351
საწყისი მარაგები		0
მარაგების შესყიდვა		0
გადამუშავების დანახარჯები		0
საბოლოო მარაგები		0
საერთო მოგება	720429	1313217
სხვა საოპერაციო შემოსავალი	3837	0
დასაქმებულთა ანაზღაურება	-801255	-1312326
ცვთა / ამორტიზაციის ხარჯი	-123847	-143907
საპროცენტო შემოსავალი		0
საპროცენტო ხარჯი	-23318	-17739
იჯარის ხარჯი	-68814	-60933
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი	-170012	-150469
სულ საოპერაციო ხარჯები	-1183409	-1685374
საოპერაციო მოგება	-462980	-372157
გაუფასურების (ხარჯი) / აღდგენა:		
ფინანსური აქტივების გაუფასურების (ხარჯი) / აღდგენა		0
მარაგების გაუფასურების (ხარჯი) / აღდგენა		0
სხვა არაფინანსური აქტივების გაუფასურების (ხარჯი) / აღდგენა		0
წმინდა შემოსულობა / (დანაკარგი) უცხოური ვალუტით ვაჭრობიდან და სავალუტო სახსრების გადაფასებიდან		0
მიღებული დივიდენდები		0
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი / (ხარჯი)	-18841	0
მოგება / (ზარალი) მოგების გადასახადის ხარჯამდე განგრძობითი ოპერაციებიდან	-481821	-372157
მოგების გადასახადის ხარჯი	-42709	0
საანგარიშგებო პერიოდის მოგება / ზარალი	-524530	-372157
სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი):		
ძირითადი საშუალებების (მათ შორის, ბიოლოგიური აქტივების) გადაფასების რეზერვი		0
სხვა (მათ შორის წილი ერთობლივი და მეკავშირე საწარმოების უძრავი ქონების გადაფასების რეზერვი და დადგენილ გადასახდელიანი პროგრამები)		0
სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი), სულ:		0

მთლიანი სრული შემოსავალი / (ზარალი)	-524530	-372157
საკუთარი კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისში	1194212	1566369
ახალი აქციების გამოშვება (მპს-ს შემთხვევაში 'კაპიტალის გაზრდა', კოოპერატივის შემთხვევაში 'საპაიო კაპიტალის გაზრდა')		0
განაწილება მესაკუთრეებზე (მათ შორის დივიდენდი)	-86316	0
სხვა ცვლილებები გაუნაწილებელ მოგებაში		0
კაპიტალის სხვა ცვლილებები		0
საკუთარი კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს	583366	1194212

ფულადი სახსრების მოძრაობა

ფულადი სახსრების მოძრაობა	31/12/2024	31/12/2023
საოპერაციო საქმიანობიდან წარმოქმნილი (საოპერაციო საქმიანობაში გამოყენებული) წმინდა ფულადი ნაკადები	182946	-617372
საინვესტიციო საქმიანობიდან წარმოქმნილი (საინვესტიციო საქმიანობაში გამოყენებული) წმინდა ფულადი ნაკადები	0	0
საფინანსო საქმიანობიდან წარმოქმნილი (საფინანსო საქმიანობაში გამოყენებული) წმინდა ფულადი ნაკადები	0	0
ფულადი სახსრების შემოსვლა (გასვლა)	182946	-617372
ვალუტის კურსის ცვლილების გავლენა ფულად სახსრებსა და მათ ეკვივალენტებზე	0	0
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისში	113018	730390
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს	295964	113018